

დამსაქმებლის მიერ კონკურენციის აკრძალვის სამართლებრივი
ბუნება და შესაბამისი პრაქტიკის ანალიზი ქართული და
ევროპული სამართლის მიხედვით

თამარ ხახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დიანა ჩუბინიშვილი - მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ხახიშვილი

25.06.2024

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება კონკურენციის აკრძალვას შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, კერძოდ, განხილულია მისი სამართლებრივი ბუნება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, როგორც ქართული, ისე ევროპული სამართლის მიხედვით. კონკურენციის აკრძალვა და შრომის თავისუფლების რეალიზების შეზღუდვა ურთიერთობაში, სადაც დასაქმებული დამსაქმებელთან სუბორდინაციულ დაქვემდებარებაშია, დამსაქმებლისთვის ძლიერ ბერკეტს წარმოადგენს. შესაბამისად, ნაშრომის მიზანს სწორედ წარმოადგენს კონკურენციის აკრძალვის თავისებურებანი, საკანონმდებლო ხარვეზების იდენტიფიცირება და პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

სხვადასხვა კვლევის მეთოდის გამოყენებით, როგორც არის ისტორიულ სამართლებრივი მეთოდი, შედარებითი მეთოდი და სისტემური მეთოდი, საუბარია საქართველოს შრომის კანონმდებლობის რეფორმასა და მის გამომწვევ მიზეზებზე, კონკურენციის არსსა და მის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, ნაშრომში განმარტებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვები და იდენტიფიცირებულია საკანონმდებლო ხარვეზი. აქცენტი გაკეთებულია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის ფორმასავალდებულო ხასიათზე, კერძოდ, წერილობით ფორმაზე, ასევე, კონკურენციის აკრძალვის გამოყენებაზე არასრულწლოვანთან მიმართებით, რაც შეპირისპირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესთან. ამასთან, მოცემულ ნაშრომში ყურადღება ეთმობა კონკურენციის აკრძალვისას კომპენსაციის გადახდის წესსა და დამსაქმებლის მიერ, აღნიშნული ბერკეტის გამოყენების დროს კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის მნიშვნელობას. აგრეთვე, ნაშრომის ფარგლებში მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების განჩინებები და გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც პასუხი ეცემა ნაშრომში დასმულ პრობლემურ საკითხებს და ნათელს ჰყენს სასამართლოს მიდგომას კონკურენციის აკრძალვისას.

უცხოური ქვეყნების პრაქტიკისა და მიდგომების გაზიარება, ნებისმიერი კანონმდებლობის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, შესაბამისად, ნაშრომში მიმოხილულია გერმანიისა და იტალიის საკანონმდებლო მოწესრიგება და სასამართლო პრაქტიკა, გამოკვეთილია მათი მიდგომები არამხოლოდ შრომით ურთიერთობებში ზოგადად კონკურენციის აკრძალვასთან დაკავშირებით, არამედ უშუალოდ იმ პრობლემურ საკითხებთან მიმართებით, რომელთა წინაშეც ქართული შრომის სამართალი და შრომის ბაზარი დგას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში განხილული საქართველოს და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, პასუხია გაცემული დღეს არსებულ პრობლემურ საკითხებზე და მათი შესაძლო გადაჭრის გზებზე.

ABSTRACT

This thesis deals with the prohibition of competition in labor relations, particularly its nature and the analysis of judicial practice, according to Georgian and European law. Prohibition of competition and restriction of the realization of freedom of labor in the relationship, where the employee is subordinated to the employer, is a strong leverage for the employer. Accordingly, the purpose of this thesis is to identify the specificities of the prohibition of competition, to identify legal gaps and to analyze judicial practice in relation to problematic issues.

Using different research methods, such as the historical legal method, the comparative method and the systematic method, we talk about the reform of the labor legislation of Georgia and its causes, the essence of competition and its importance. The limitations, considered by the labor legislation of Georgia, are explained and the legislative gap is identified. Emphasis is placed on the obligatory nature of the form of restriction considered in the labor contract, namely on the written form, on the application of the prohibition of competition in relation to the minor and its confrontation with the best interest of the child. Much attention is paid to the manner of payment of compensation in the prohibition of competition and the importance of observing the principle of good faith during the use of said leverage by the employer. Within the framework of the thesis, the rulings and decisions of the constitutional and general courts of Georgia are reviewed, through which the problematic issues raised in the thesis are answered and shed light on the court's approach to the prohibition of competition.

Sharing the practices and approaches of foreign countries is one of the most important prerequisites for the development of any legislation, therefore, the legal order and judicial practice of Germany and Italy are reviewed, their approaches are highlighted not only with the prohibition of competition in labor relations in general, but also directly in relation to the problematic issues faced by the Georgian labor force: law and the labor market stand.

On the basis of the used research methods and the legislation and judicial practice of both Georgia and European countries, the answers to the problematic issues existing today and their possible solutions are given.